ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროექტი

სოფლის მეურნეობის
პროექტების მართვის სააგენტო

პროექტის მიზნები

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნეს ოპერატორებზე იჯარის წესით გადაცემის გზით

ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა

ჩაის ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად იმპორტის ჩანაცვლება და საექპორტო პოტენციალის გაზრდა

ზოგადი პირობები

პროექტის ფარგლებში სააგენტო დააფინანსებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილს დაინტერესებული პირებისათვის

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იურიდიულ პირებს

პროექტის ფარგლებში განსაზღვრული იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი, რომლის თანადაფინანსებასაც მოახდენს სააგენტო

რებილიტაციას განახორციელებს წინასწარ კომისიის მიერ შერჩეული კომპანიები.

ერთ ჰა ზე რეაბილიტაციის ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს (დღგ -ს ჩათვლით), თანადაფინანსება დაანგარიშდება 1 ჰა-ზე 2 500 ლარის 60-90%-ის ოდენობით.

დაფინანსების სტრუქტურა

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

კომპანიები, რომლებიც საკუთრებაში აქვთ სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცია

რეაბილიტაციის ღირებულების 60% (დღგ -ს ჩათვლით)

კოოპერატივები, რომლებიც საკუთრებაში აქვთ სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცია

რეაბილიტაციის ღირებულების 80% (დღგ -ს ჩათვლით)

კომპანიების შესაბამისობის კრიტერიუმები

- კომპანია უნდა ფლობდეს საკუთრებაში ჩაის პლანტაციას, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება
- სარეაბილიტაციო ფართობი არ უნდა იყოს 5ჰა - ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 300 ჰას
- კომპანიის მიერ უნდა იგეგმებოდეს შექმნა ან არსებულ ეტაპზე უკვე უნდა ფლობდეს შესაბამის (სარეაბილიტაციო) ფართობზე მიღებული ჩაის მწვანე ფოთლის გადამამუშავებელ თანამედროვე სიმძლავრეებს
- კომპანიას უნდა გააჩნდეს საკმარისი ფულადი სახსრები სარებილიტაციო სამუშაოების დარჩენილი ნაწილის დასაფინანსებლად
- კომპანიას არ უნდა გააჩნდეს დავალიანება შემოსავლების სამსახურის მიმართ
- კომპანიაში არ უნდა ფლობდეს სახელმწიფო რაიმე სახის წილს, პაის, აქციებს პირდაპირი ან ირიბი ფორმით

კოოპერატივების შესაბამისობის კრიტერიუმები

კოოპერატივის წევრების არანაკლებ 75%-მა უნდა მოახდინოს კოოპერატივში ჩაის პლანტაციების შეტანა, თითოეულმა ფართობით არანაკლებ 0.25 ჰა;

კოოპერატივის წევრების საკუთრებაში უნდა იყოს ჯამურად არანაკლებ 5 ჰა ჩაის პლანტაცია

სარეაბილიტაციო ფართობი არ უნდა იყოს 5 ჰა-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 50 ჰა-ს

კოოპერატივი / მისი რომელიმე წევრი უნდა ფლობდეს საკუთრებაში შენობა ნაგებობას არანაკლებ 70 კვ.მ. სადაც მოეწყობა ჩაის პირველადი გადამუშავების საწარმო.

თუ კოოპერატივს საკუთრებაში არ გააჩნია შენობა-ნაგებობა, უნდა წარმოადგინოს შენობის მშენებლობის/შეძენის ვადაში გაწერილი გეგმა, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 24 თვეს

კოოპერატივს უნდა გააჩნდეს საკმარისი ფულადი სახსრები სამუშაოების დარჩენილი ნაწილის დასაფინანსებლად

ჩაის პლანტაციაზე არ უნდა იყოს რეგისტრირებული იპოთეკა, ყადაღა, უზუფრუქტის უფლება ან ვალდებულებით-სამართლებრივი შეზღუდვა.

ვალდებულებები

კომპანიების შემთხვევაში

ჩაის პირველადი გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა / არსებულის გაფართოება წარმოდგენილი ვადაში (ვადა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის წარმოდგენიდან 36 თვეს) გაწერილი გეგმის შესაბამისად;

განაცხადის წარმოდგენიდან 36 თვის შემდგომ 24 თვის განმავლობაში წარმოდგენილი საწარმოო გეგმის შესრულება.

კოოპერატივის შემთხვევაში

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის წარმოდგენილი და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ შემოწმებული ვადაში გაწერილი აგროტექნოლოგიური გეგმის შესრულება

იმ შემთხვევაში თუ არსებულ ეტაპზე შენობა ნაგებობის მფლობელობა ვერ დასტურდება, შენობის შექმნა / რეგისტრაცია განისაზღვრება კოოპერატივის ვალდებულებად საწარმო მანქანა დანადგარების საჩუქრად მიღებამდე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში

სააგენტოსგან ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ინვენტარის უსასყიდლოდ მიღებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს წარმოდგენილი საწარმოო გეგმის შესრულება ყოველწლიურად; გადაცემიდან

ეტაპები

პოტენციური ბენეფიციარი სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციის შერჩევის შემდგომ, მიმართავს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის მიზანშეწონილობის დასადგენად და მიწის ანალიზის ჩასატარებლად და ასევე წარადგენს მის მიერ მომზადებულ აგროტექნოლოგიურ გეგმას.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფლებამოსილი პირი ახორციელებს ვიზიტს ადგილზე და ახდენს ჩაის ნარგაობის / პლანტაციის მდგომარეობის შეფასებას დადგენილი კრიტერიუმებით თუ ჩაის პლანტაცია ექვემდებარება რეაბილიტაციას, განხორციელდება მიწის ლაბორატორიული ანალიზი.

ეტაპები

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გასცემს ცნობას ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის მიზანშეწონილობისა და წარმოდგენილი აგროტექონოლოგიური გეგმის გათვალისწინებით ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის შესაძლებლობის შესახებ

პოტენციური ბენეფიციარი შეარჩევს სარეაბილიტაციო სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას, რომელთა სიაც გამოქვეყნებულია ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) ვებ.გვერდზე www.apma.ge

სარეაბილიტაციო სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებს შეარჩევს სააგენტოსა და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთობლივი კომისია

პოტენციური ბენეფიციარი მიმართავს სარეაბილიტაციო სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას, რომლის წარმომადგენელიც ახორციელებს ვიზიტს ადგილზე და ადგენს ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და მათი იჯარით გადაცემა დაინტერესებული პირებისათვის

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ გაიცემა გრძელვადიანი იჯარით ბიზნეს ოპერატორზე.

გრძელვადიანი იჯარის პირობები:

- იჯარის ვადა - 25 წელი
- იჯარის ღირებულება - 50 ლარი - 1 ჰა
- იჯარის პირობების გადახედვა - ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-15 წელს და შემდგომ ყოველ 5 წელიწადში
- იჯარის გასხვისების / უფლებრივად დატვირთვის შესაძლებლობა იმ პირობით რომ ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს ახალი მოიჯარე

დაფინანსების სტრუქტურა

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

კომპანიების შემთხვევაში

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 80% (დღგ -ს ჩათვლით)

კოოპერატივებისათვის

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 90% (დღგ -ს ჩათვლით)

ვალდებულებები

კომპანიების შემთხვევაში

ჩაის პირველადი გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა / არსებულის გაფართოება წარმოდგენილი ვადაში (ვადა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის წარმოდგენიდან 36 თვეს) გაწერილი გეგმის შესაბამისად;

განაცხადის წარმოდგენიდან 36 თვის შემდგომ 24 თვის განმავლობაში წარმოდგენილი საწარმოო გეგმის შესრულება.

იჯარის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, უზრუნველყოს ჩაის მოყვანა ყოველწლიურად.

კოოპერატივის შემთხვევაში

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის წარმოდგენილი და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ შემოწმებული ვადაში გაწერილი აგროტექნოლოგიური გეგმის შესრულება

იმ შემთხვევაში თუ არსებულ ეტაპზე შენობა ნაგებობის მფლობელობა ვერ დასტურდება, შენობის შექმნა / რეგისტრაცია განისაზღვრება კოოპერატივის ვალდებულებად საწარმო მანქანა დანადგარების საჩუქრად მიღებამდე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში

სააგენტოსგან ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ინვენტარის უსასყიდლოდ მიღებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს წარმოდგენილი საწარმოო გეგმის შესრულება ყოველწლიურად; გადაცემიდან

იჯარის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, უზრუნველყოს ჩაის მოყვანა ყოველწლიურად.

პროცესი

- განაცხადის წარდგენა
- განაცხადის განხილვა და დასკვნის შემუშავება
- ვალდებულებების განსაზღვრა
- იჯარის ხელშეკრულების გაფორმება და რეესტრში დარეგისტრირება
- სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციის იპოთეკით დატვირთვა
- ხელშეკრულების გაფორმება

მადლობა ყურადღებისთვის